CZECH REPUBLIC
DEVELOPMENT COOPERATION

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Caritas
Czech Republic

ბავშვთა ხანგრძლივი მოვლისა და პალიატიური მზრუნველობის სერვისების განვითარება საქართველოში

მნიშვნელოვანი ფაქტები

პროექტის მიზანი

პროექტის მიზანია ბავშვთა ხანგრძლივი მოვლის სერვისის განვითარება სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის, რომელიც მათ სოციალურ და სამედიცინო საჭიროებებზეა ორიენტირებული, უზრუნველყოფს ოჯახთან მიახლოებულ მზრუნველ გარემოს მთელი სიცოცხლის განმავლობაში და შეძლებისდაგვარად აუმჯობესებს მათი ცხოვრების ხარისხს.

პროექტის ინოვაციურობა

ეს უკანასკნელი სამედიცინო მიდგომებისაგან განსხვავდება მისი ჰოლისტური ხედვით – ადამიანსა და მის ჯანმრთელობას განიხილავს სრული ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობის ჭრილში და არა მხოლოდ დაავადების არსებობა-არარსებობის შესაბამისად.

პროექტის განმახორციელებლები და პარტნიორები

პროექტი განხორციელდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ჩეხეთის განვითარების სააგენტოს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში, ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ჟვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკის თანამშრომლობის საფუძველზე.

პროექტი დაფინანსებული იყო ჩეხეთის განვითარების საააგენტოს მიერ ჯამური ბიუჯეტით 327 759 ევროს ოდენობით.

პროექტის მნიშვნელოვანი წვლილი

პროექტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა **შშმ ბავშვთა დეინსტიტუციონალიზაციის პროცესსა და ბავშვთა კეთილდღეობის სახელმწიფო პოლიტიკის** განხორციელებაში. პროექტი პასუხობდა გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის (UNCRPD) ძირითად მიდგომებსა და გაეროს ბავშვთა ფონდის ბავშვის უფლებათა კონვენციის (UNCRC) პრინციპებს, რომლის მიხედვითაც, ბავშვს, რომელიც დროებით ან მუდმივად მოკლებულია თავის ოჯახურ გარემოცვას, აქვს განსაკუთრებული დაცვისა და დახმარების უფლება სახელმწიფოს მხრიდან, ხოლო სახელმწიფომ, ეროვნული კანონების შესაბამისად, უნდა უზრუნველყოს ასეთი ბავშვის მოვლა (UNCRC, Article 20; UNCRPD Article 23).

თამარ კურტანიძე,
ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასის პროექტის მენეჯერი

არქიტექტურული პროექტის გეგმა და პროექტი

პროექტის ფარგლებში ჟვანიას კლინიკის ტერიტორიაზე სამედიცინო უნივერსიტეტმა ააშენა ახალი კორპუსი, რომლის მეხუთე სართულზე განთავსდა ბავშვთა ხანგრძლივი მოვლის დაწესებულება „სამედიცინო – სოციალური სახლი“. სერვისი განკუთვნილია სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფი ჩვილ ბავშვთა სახლის ბენეფიციარებისთვის. ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით მომზადდა შენობის არქიტექტურული გეგმა და პროექტი.

პროექტის შედეგები წლების მიხედვით (2017-2019)

საკანონმდებლო ცვლილებები და სტანდარტიზაცია (2019)

მომზადდა ხანგრძლივი მოვლის სისტემის ინსტიტუციური მოწყობისა და სერვისის ხარისხის უზრუნველსაყოფად საჭირო მარეგულირებელი დოკუმენ-ტების პაკეტი, კერძოდ:

1. ბავშვთა ხანგრძლივი მოვლის კონცეფციური დოკუმენტი და შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტი ბავშვთა ხანგრძლივი მოვლის დაწესებულების ფუნქციონირებისთვის (დამტკიცდა კანონში განხორციელებული ცვლი-ლებების თანახმად).

2. რეკომენდაციები საკანონმდებლო ცვლილებებისთვის, რომლის საფუძ-ველზეც განხორციელდა ცვლილება საქართველოს კანონში ჯანმრთე-ლობის დაცვის შესახებ (25/02/2019).

სასწავლო ტური (2018)

2018 წელს მოეწყო სასწავლო ტური სამინისტროს წარმომადგენლებისა და პროექტის კონსულტანტებისთვის ჩეხეთში ბავშვთა ხანგრძლივი მოვლისა და პალიატიური მზრუნველობის სისტემის გასაცნობად. ვიზიტების დროს შეხვედრები გაიმართა ჩეხეთის ჯანდაცვის სამინისტროში და სხვადასხვა ქალაქში არსებული ხანგრძლივი მოვლისა და პალიატიური მზრუნველობის ცენტრებში.

სახელმძღვანელო და სასწავლო კურსი პედიატრიული ხანგრძლივი მოვლის საკითხებზე (2019 – 2021)

- მომზადდა შესაბამისი სასწავლო კურსი პედიატრიული ხანგრძლივი მოვლის საკითხების შესახებ, რომელიც ეფუძნება ბიოფსიქოსოციალურ მოდელს და მულტიგუნდის ჩართულობას სერვისის მიწოდების პროცესში.

- მომზადდა სახელმძღვანელო „პედიატრიული ხანგრძლივი მოვლის საკითხები“, რომელიც განკუთვნილია ბავშვთა ხანგრძლივი მოვლის სისტემაში მომუშავე მულტიდისციპლინური გუნდისთვის.

- მომზადდა და განახლდა პედიატრიული საექთნო საქმიანობის პროტოკოლები, რომლებიც ინტეგრირებულია ზემოხსენებულ სახელმძღვანელოში.

- სასწავლო კურსით გადამზადდა ახალი სერვისის პერსონალი, რომელიც 2022 წლიდან შეუდგება მუშაობას ბავშვთა ხანგრძლივი მოვლის ცენტრში.

უწყვეტი სამედიცინო განათლება 2019-2020

სახელმძღვანელო და სასწავლო კურსი – კომუნიკაციის სტანდარტები სამედიცინო დაწესებულებებისთვის

- მომზადდა ექიმსა და პაციენტს შორის კომუნიკაციის სტანდარტები და შესაბამისი სახელმძღვანელო. სახელმძღვანელო წარდგენილია თსსუ-ში და გამოიყენება როგორც დამხმარე ლიტერატურა შესაბამისი სასწავლო კურსის ფარგლებში მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის.

- სამედიცინო პერსონალისთვის თბილისში და რეგიონებში ჩატარდა ორდღიანი კურსი ზემოხსენებული კომუნიკაციის სტანდარტების დანერგვის მიზნით. კურსი აკრედიტებულია ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამისი საბჭოს მიერ. სულ გადამზადდა **200-მდე ექიმი** სხვადასხვა სპეციალობებში.



აკრედიტებული სასწავლო კურსი ექიმებისთვის (2019-2020)

საქართველოს რესპირაციული ასოციაციის მიერ მომზადდა კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტები, რომელიც ჯანდაცვის მინისტრის შესაბამისი ბრძანებით 2019 წლის დეკემბერში დამტკიცდა:

- ფილტვის ხელოვნურ ვენტილაციასთან ასოცირებული პნევმონიის დიაგ-ნოსტიკა, პრევენცია და მართვა ბავშვთა ასაკში
- ჰოსპიტალური პნევმონიის დიაგნოსტიკა, პრევენცია და მართვა ბავშვთა ასაკში

ზემოხსენებული პროტოკოლების დანერგვის მიზნით ჩატარდა შესაბამისი ორდღიანი სასწავლო კურსი ჰოსპიტლებში მომუშავე სამედიცინო პერსონა-ლისთვის თბილისსა და რეგიონებში (ზუგდიდი, ბათუმი, ქუთაისი, თელავი, ბორჯომი, გორი, რუსთავი, ოზურგეთი, ამბროლაური). კურსი აკრედიტებულია ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამისი საბჭოს მიერ. სულ გადამზადდა **300 ექიმი** თბილისსა და რეგიონებში.

ჯანდაცვის სამინისტროს მიერ 2020 წლის ივნისში დამტკიცებული ახალი პროტოკოლის – „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) დიაგნოსტიკა და მართვა პედიატრიულ პაციენტებში“ დანერგვის მიზნით დამატებით ჩატარდა ორდღიანი აკრედიტებული სასწავლო კურსი **200-მდე პედიატრისთვის** თბილისსა და რეგიონებში.

ტრენინგი ჩვილ ბავშვთა სახლის პერსონალისთვის

მომზადდა და ჩატარდა გრძელვადიანი სასწავლო კურსი „ბავშვზე ორიენტირებული ზრუნვა“ ჩვილ ბავშვთა სახლის პერსონალისთვის, რომელიც მიზნად ისახავს ჩვილ ბავშვთა სახლის ბენეფიციარებისთვის ალტერნატიული სერვისის – საოჯახო ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის ხელშეწყობას ადამიანური რესურსების განვითარების გზით.

სულ გადამზადდა **64 თანამშრომელი.**

სამედიცინო აღჭურვილობა ჟვანიას პედიატრიული კლინიკისთვის

2019 წლის აპრილში ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასმა ჩეხეთის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით ჟვანიას პედიატრიული კლინიკისთვის შეიძინა და გადასცა **400 000 ლარის** ღირებულების სამედიცინო აპარატურა (პედიატრიული ხელოვნური სუნთქვის აპარატები, მონიტორები, დეფიბრილატორები, პულსოქსიმეტრები და სხვ.).

დახმარება ბავშვთა ჰოსპისისთვის – ციცინათელების ქვეყანა (2017-2019)

- ბავშვთა ჰოსპისში „ციცინათელების ქვეყანა“ მოეწყო და აღიჭურვა სპეციალური მულტისენსორული ოთახი (Snoezelen MSE). მულტისენსორული გარემოს მიზანია, შეძლებისდაგვარად შეუმსუბუქოს მდგომარეობა და დაეხმაროს ჰოსპისის ბენეფიციარებს ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში. ყოველთვიურად მომსახურებას ჰოსპისის ოცამდე ბენეფიციარი იღებს.

- ახალი სერვისის ხარისხის უზრუნველსაყოფად სერტიფიცირებულმა ჩეხმა ტრენერმა რენატა ფილატოვამ ჰოსპისის სპეციალისტებისთვის (ოკუპაციური თერაპევტი, ფსიქოლოგი) ჩაატარა ტრენინგი მულტისენსორული გარემოს გამოყენების თემაზე.



- მულტისენსორულ თერაპიაში დამატებით კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, 2018 წელს ჰოსპისის სპეციალისტები სასწავლო ვიზიტით ჩეხეთში იმყოფებოდნენ.

- ფსიქოსოციალური სერვისის განვითარების მიზნით, 2018 წელს მომზადდა ჰოსპისში სოციალური მუშაობის კონცეფცია და ჰოსპისის გუნდს შეუერთდა სოციალური მუშაკი, რომელიც ფსიქო-სოციალურ დახმარებას უწევს ჰოსპისის ბენეფიციარებს.

ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში

თბილისი 0177, საბურთალოს რაიონი, გივი კარტოზიას ქ. N8,
კორპუსი N4, ბინა N24

(+995) 032 222 02 14

ccrg@caritas.cz

georgia.charita.cz

www.facebook.com/CCRGeorgia2015